

სანიმუშო საგამოცდო კითხვები

ნაწილი ბ – მრავალპარიანტიანი კითხვები

1. კომპანია „აბგ“-ს საშინაო ვალუტაა დოლარი (\$). იგი ვაჭრობს კომპანიასთან, რომლის საშინაო ვალუტაა ლინარი. ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია:

	მშობლიური ქვეყანა	უცხოური ქვეყანა
სპოტ კურსი	20.00 ლინარი/\$	
საპროცენტო განაკვეთი	წლიური 3%	წლიური 7%
ინფლაციის განაკვეთი	წლიური 2%	წლიური 5%

რამდენია ექვსთვიანი ფორვარდული სავალუტო კურსი?

- ა 20.39 ლინარი/\$
- ბ 20.30 ლინარი/\$
- გ 20.59 ლინარი/\$
- დ 20.78 ლინარი/\$
2. ქვემოთ მოცემულია საინვესტიციო პროექტის ფინანსური ინფორმაცია:
- | | |
|--|----------|
| | \$000 |
| რეალიზაციის მიმდინარე ღირებულება | 50,025 |
| ცვლადი დანახარჯების მიმდინარე ღირებულება | (25,475) |
| ზღვრული მოგების მიმდინარე ღირებულება | 24,550 |
| მუდმივი დანახარჯების მიმდინარე ღირებულება | (18,250) |
| საოპერაციო შემოსავლის მიმდინარე ღირებულება | 6,300 |
| საწყისი ინვესტიცია | (5,000) |
| წმინდა მიმდინარე ღირებულება | 1,300 |
- რამდენია საინვესტიციო პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების მგრძნობელობა, გაყიდვების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებით?
- ა 7.1%
- ბ 2.6%
- გ 5.1%
- დ 5.3%
3. გულნარას აქციის ფასის ისტორიული ცვლილებები გრაფიკზე გადააქვს და ამ ანალიზს იყენებს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად.
- გულნარას რწმენით, რამდენად ეფექტურია საფონდო ბირჟა?
- ა საერთოდ არ არის ეფექტური.
- ბ სუსტი ფორმით ეფექტურია.
- გ ნახევრად ძლიერი ფორმით ეფექტურია.
- დ ძლიერი ფორმით ეფექტურია.
4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი კაპიტალის სტრუქტურის თეორიის შესახებ?
- ა ტრდიციული თვალსაზრისით, საკუთარი კაპიტალის ღირებულებასა და ფინანსურ რისკს შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება.
- ბ მოდელიანისა და მილერის თქმით, გადასახადების არარსებობის შემთხვევაში, საკუთარი კაპიტალის ღირებულება უცვლელი რჩება.

- ბ დადგენილი წესით შერჩევის თეორია მიუთითებს, რომ პრივილეგირებული აქციები დაფინანსების უპირატესი წყაროა კონვერტირებად სესხთან შედარებით.
- დ სავარაუდოდ, კაპიტალის სტრუქტურის ცვლილების შემთხვევაში, ბიზნესრისკი უცვლელი რჩება.

5. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი მოქმედება, სავარაუდოდ, არ გაზრდის აქციონერთა ქონებას?

- ა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების დაწვეა ბოლო ფინანსური გადაწყვეტილების შედეგად.
- ბ ღირებულების ფინანსური წახალისების შემოსავალ ერთ აქციასთან დაკავშირება.
- გ ღირებულებით საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო განახორციელოს ინვესტიცია დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულების მქონე პროექტში.
- დ წლიურ ანგარიშში კორპორაციული მართვის კოდექსთან სრული შესაბამისობის გამოცხადება.

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი განცხადებაა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების მახასიათებელი?

1. შესაძლებელია თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადამდე გაყიდვა.
 2. ჩვეულებრივ, კომერციული ქაღალდის შემოსავლიანობა სახაზინო თამასუქებზე დაბალია.
 3. ფასდაკლებით ინსტრუმენტები ნომინალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად იყიდება.
- ა მხოლოდ 2
- ბ მხოლოდ 1 და 3
- გ მხოლოდ 2 და 3
- დ 1, 2 და 3

7. ქვემოთ მოცემულია კომპანია „დინის“ მოგებისა და ზარალის ანგარიშების ამონარიდი:

	\$000
რეალიზაცია	60,000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(50,000)
მოგება პროცენტამდე და გადასახადამდე	10,000
პროცენტის ხარჯი	(4,000)
მოგება დაბეგვრამდე	6,000
მოგების გადასახადი	(4,500)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	1,500

ცვლადი დანახარჯი შეადგენს რეალიზებული საქონლის თვითღირებულების 60%-ს.

რამდენია კომპანია „დინის“ საოპერაციო ლევერიჯი?

- ა 5.0-ჯერ
- ბ 2.0-ჯერ
- გ 0.5-ჯერ
- დ 3.0-ჯერ

8. კომპანია „იქსის“ კრედიტით წლიური გაყიდვები შეადგენს \$20 მილიონს, ხოლო დებიტორული დავალიანება კი – \$4 მილიონს. საბრუნავი კაპიტალი დაფინანსებულია ოვერდრაფტით, რომლის საპროცენტო განაკვეთია წლიური 12%. იგულისხმეთ, რომ წელიწადში 365 დღეა.

რამდენს შეადგენს წლიური ფინანსური დანახარჯის ეკონომია, თუ დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი 60 დღემდე შემცირდება?

- ა \$85,479
- ბ \$394,521
- გ \$78,904
- დ \$68,384

9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი განცხადება ფინანსური მართვის შესახებ?

1. იგი უკავშირდება გადაწყვეტილებებს ინვესტიციებზე, დაფინანსებაზე და დივიდენდებზე.
2. იგი უკავშირდება ფინანსურ დაგეგმვას და ფინანსურ კონტროლს.
3. იგი ითვალისწინებს რისკის მართვას.

- ა მხოლოდ 1 და 2
- ბ მხოლოდ 1 და 3
- გ მხოლოდ 2 და 3
- დ 1, 2 და 3

10. ქვემოთ მოცემულია ინფორმაციანი კომპანია „სალინის“ მიერ ბოლო წლებში გადახდილი დივიდენდის შესახებ:

წელი	20X4	20X3	20X2	20X1
დივიდენდი (\$/აქციაზე)	0.360	0.338	0.328	0.311

ახლახან გადაიხადეს 20X4 წლის დივიდენდი. კომპანია „სალინის“ საკუთარი კაპიტალის ღირებულებაა 12%.

დივიდენდის ისტორიული ზრდის განაკვეთის გეომეტრიული საშუალოსა და დივიდენდების ზრდის მოდელის გამოყენებით გამოთვალეთ, რამდენია კომპანია „სალინის“ აქციის საბაზრო ფასი დივიდენდის გარეშე?

- ა \$4.67
- ბ \$5.14
- გ \$5.40
- დ \$6.97

11. „არსებობს რისკი, რომ სანამ მოვამზადებთ ანგარიშებს, ჩვენი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება შეიცვლება“.

რომელ რისკს უკავშირდება ზემოთყვანილი განცხადება?

- ა გადაანგარიშების რისკი.
- ბ პოლიტიკური რისკი.
- გ საოპერაციო რისკი.
- დ საპროცენტო რისკი.

12. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია, რომელიც გამოთვლილია კომპანია A-სთვის:

დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი	52 დღე
ნედლეულის შენახვის პერიოდი	42 დღე
დაუმთავრებელი წარმოების შენახვის პერიოდი	30 დღე
კრედიტორული დავალიანების გადახდის პერიოდი	66 დღე
მზა პროდუქციის შენახვის პერიოდი	45 დღე

რამდენია საბრუნავი კაპიტალის ციკლის ხანგრძლივობა?

- ა 103 დღე

- ბ 131 დღე
გ 235 დღე
დ 31 დღე

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ჩვეულებრივ, რომელი განიხილება, როგორც სარგებელი ფინანსური შუამავლობიდან?

1. საპროცენტო განაკვეთის დაფიქსირება.
2. რისკის შემცირება.
3. დაფარვის ვადის შეცვლა.

- ა მხოლოდ 1
ბ მხოლოდ 1 და 3
გ მხოლოდ 2 და 3
დ 1, 2 და 3

14. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან საბრუნავი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით, რომელია სწორი?

1. საბრუნავი კაპიტალის მართვის ორი მიზანი – მოგებიანობა და ლიქვიდობაა.
2. საბრუნავი კაპიტალის ინვესტიციის კონსერვატიული მიდგომა გაზრდის მოგებიანობას.
3. საბრუნავი კაპიტალის მართვა კომპანიის გრძელვადიანი წარმატების მთავარი ფაქტორია.

- ა მხოლოდ 1 და 2
ბ მხოლოდ 1 და 3
გ მხოლოდ 2 და 3
დ 1, 2 და 3

15. სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში აქვს სხვადასხვა ეკონომიკური მიზნები.

ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან, უპირატესად რომელი უკავშირდება მონეტარულ პოლიტიკას?

1. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის გაზრდა.
2. მიწოდებული ფულადი სახსრების მოცულობის ზრდის კონტროლი.
3. საჯარო სექტორის დანახარჯების შემცირება.
4. დაბალი საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნება.

- ა მხოლოდ 1
ბ მხოლოდ 1 და 3
გ მხოლოდ 2 და 4
დ 2, 3 და 4

ნაწილი ბ – სცენარზე დაფუძნებული მრავალპარიანტიანი კითხვები

შემდეგი სცენარი ეხება მე-16 – მე-20 კითხვებს.

კომპანია „პარის“ ამჟამად შემდეგი გრძელვადიანი კაპიტალის სტრუქტურა აქვს:

	\$მლნ	\$მლნ
საკუთარი კაპიტალის დაფინანსება		
ჩვეულებრივი აქციები	30.0	
რეზერვები	38.4	
		68.4
გრძელვადიანი ვალდებულება		
საბანკო სესხი	15.0	
8%-იანი კონვერტირებადი	40.0	
ობლიგაციები		
5%-იანი გამოსყიდვადი	15.0	
პრივილეგირებული აქციები		
		70.0
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		138.4

ერთი 8%-იანი კონვერტირებადი ობლიგაცია შეიძლება გაიცვალოს რვა ცალ ჩვეულებრივ აქციაში შვიდი წლის შემდეგ. თუ იგი არ გაიცვლება აქციებში, მაშინ იმავე თარიღისათვის კონვერტირებადი ობლიგაციები \$100 ნომინალური ღირებულებით გამოსყიდული იქნება. კომპანია „პარის“ სესხის ღირებულებაა წლიური 9%.

კომპანია „პარის“ ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა \$1. საბაზრო აქციის ფასი დივიდენდის გარეშე \$10.90 აქციაზე. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია აქციის ფასის ზრდა წლიური 6%-ით. კომპანია „პარის“ საკუთარი კაპიტალის ბეჭა 1.2-ის ტოლია.

16. კონვერტირებადი ობლიგაციები უზრუნველყოფილია კომპანია „პარის“ გრძელვადიანი აქტივებით, ხოლო ცვლადი განაკვეთის მქონე საბანკო სესხის უზრუნველყოფა ხდება კომპანიის მიმდინარე აქტივებით.

ინვესტორის რისკის თვალსაზრისით, რომელია კომპანია „პარის“ ყველაზე სარისკო და ნაკლებად სარისკო დაფინანსების წყარო?

ყველაზე სარისკო	ნაკლებად სარისკო
ა გამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციები	საბანკო სესხი
ბ ჩვეულებრივი აქციები	საბანკო სესხი
გ საბანკო სესხი	კონვერტირებადი ობლიგაციები
დ ჩვეულებრივი აქციები	კონვერტირებადი ობლიგაციები

17. რამდენია შვიდი წლის შემდეგ კომპანია „პარის“ 8%-იანი კონვერტირებადი ობლიგაციების კონვერტაციის ღირებულება?

- ა \$16.39
- ბ \$111.98
- გ \$131.12
- დ \$71.72

18. დაუშვით, რომ შვიდი წლის შემდეგ კონვერტაციის ღირებულებაა \$126.15. რამდენია კომპანია „პარის“ 8%-იანი კონვერტირებადი ობლიგაციების მიმდინარე საბაზრო ღირებულება?
- ა \$115.20
 - ბ \$109.26
 - გ \$94.93
 - დ \$69.00
19. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან, რომელია სწორი კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელის შესახებ?
- ა კომპანია „პარის“ საკუთარი კაპიტალის ბეტა ითვალისწინებს მხოლოდ ბიზნესრისკს.
 - ბ კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი ითვალისწინებს როგორც სისტემურ, ასევე არასისტემურ რისკს.
 - გ კომპანია „პარის“ საკუთარი კაპიტალის ბეტა მიუთითებს, რომ კომპანია უფრო სარისკოა, ვიდრე ბაზარი მთლიანობაში.
 - დ კომპანია „პარის“ სესხის ბეტა ნულის ტოლია.
20. ქვემოთ ჩამოთვლილითაგან, რომელი მოსაზრებები წარმოადგენს პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება ფასი შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტის მეთოდის გამოყენებას კომპანიის შესაფასებლად?
- 1. იგი შემოსავლიანობის საპირისპირო მნიშვნელობაა.
 - 2. იგი აერთიანებს საფონდო ბირჟისა და კომპანიის ინფორმაციას.
 - 3. რთულია შესაფერისი ფასი შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტის შერჩევა.
 - 4. ეს კოეფიციენტი უფრო შესაფერისია კოტირებული კომპანიების აქციების შესაფასებლად.
- ა მხოლოდ 1 და 2
 - ბ მხოლოდ 3 და 4
 - გ მხოლოდ 1, 3 და 4
 - დ 1, 2, 3 და 4

შემდეგი სცენარი ეხება 21-ე – 25-ე კითხვებს.

კომპანია „ზიპიესმა“, რომლის საშინაო ვალუტაა დოლარი, შვიდი წლის წინ აიღო ფიქსირებულგანაკვეთიანი საბანკო სესხი პესოში, როდესაც საპროცენტო განაკვეთები პესოში დოლარის საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით უფრო დაბალი იყო. კომპანია „ზიპიესი“ არ იღებს არანაირ შემოსავალს პესოში. ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების გამო, საპროცენტო განაკვეთები პესოში გაიზარდა, როდესაც საპროცენტო განაკვეთები დოლარში შედარებით სტაბილურია.

კომპანია „ზიპიესი“ პროცენტს იხდის ბანკის მიერ განსაზღვრულ თარიღისთვის. 5,000,000 პესო ექვს თვეში გადასახდელია. ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია:

სპოტ კურსი	12.500 – 12.582
	პესო/\$
ექვსი თვის შემდგომი ფორვარდული კურსი	12.805 – 12.889
	პესო/\$

კომპანია „ზიპიესისთვის“ ხელმისაწვდომი საპროცენტო განაკვეთებია:

	სესხი	დეპოზიტი
საპროცენტო განაკვეთი პესოში	წლიური 10.0%	წლიური 7.5%
საპროცენტო განაკვეთი დოლარში	წლიური 4.5%	წლიური 3.5%

21. რამდენია დოლარში ფორვარდული ბაზრის ჰეჯირების ღირებულება?

- ა \$390,472
- ბ \$387,928
- გ \$400,000
- დ \$397,393

22. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი განცხადება უკავშირდება მსყიდველუნარიანობის პარიტეტის თეორიას?

1. თეორია სამართლიანია გრძელვადიანი და არა მოკლევადიანი პერიოდისთვის.
2. სავალუტო კურსი ასახავს ორ ქვეყანაში განსხვავებულ ცხოვრების ღირებულებას.
3. ფორვარდული კურსის გამოსათვლელად გაამრავლეთ სპოტ კურსი ორი ქვეყნის საპროცენტო განაკვეთების შეფარდებაზე.

- ა 1, 2, 3
- ბ მხოლოდ 1 და 2
- გ მხოლოდ 1 და 3
- დ მხოლოდ 2

23. რამდენია კომპანია „ზიპიესის“ ექვსი თვის შემდგომი შესაფერისი საპროცენტო განაკვეთი, თუ კომპანია პესოში გადასახდელი თანხის ჰეჯირებისთვის გამოიყენებს ფულადი ბაზრის ჰეჯირებას?

	დეპოზიტის განაკვეთი	სესხის განაკვეთი
ა	7.5%	4.5%
ბ	1.75%	5.0%
გ	3.75%	2.25%
დ	3.5%	10.0%

24. კომპანია „ზიპიესისთვის“ ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი მეთოდი წარმოადგენს არსებული სავალუტო რისკის ჰეჯირების შესაძლო ვარიანტს?

1. მისაღები და გადასახდელი თანხების დაბალანსება.
2. სავალუტო სვოპები.
3. შენელება და დაჩქარება.
4. სავალუტო ფიუჩერსი.

- ა 1, 2, 3 და 4
- ბ მხოლოდ 1 და 3
- გ მხოლოდ 2 და 4
- დ მხოლოდ 2, 3 და 4

25. კომპანია „ზიპიესი“ ასევე ვაჭრობს ევროპულ კომპანიებთან, რომლებიც იყენებენ საკუთარ მშობლიურ ვალუტას, ევროს. სამ თვეში კომპანია „ზიპიესი“ კლიენტისგან 300,000 ევროს მიიღებს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია სწორი პროცედურა, რომელიც კომპანიამ უნდა დაიცვას მისაღები თანხის ჰეჯირებისას ფულადი ბაზრის ჰეჯირების გამოყენებით?

- ა 1-ლი საფეხური ახლა ისესხეთ შესაბამისი თანხა ევროში;
მე-2 საფეხური თანხა ევროში დააკონვერტირეთ დოლარში;
მე-3 საფეხური დადეთ დოლარი დეპოზიტზე;
მე-4 საფეხური სესხი დაფარეთ კლიენტისგან მიღებული თანხით.
- ბ 1-ლი საფეხური ახლა ისესხეთ შესაბამისი თანხა დოლარში;
მე-2 საფეხური დადეთ დოლარი დეპოზიტზე;
მე-3 საფეხური სამ თვეში დააკონვერტირეთ დოლარი ევროში;
მე-4 საფეხური სესხი დაფარეთ კლიენტისგან მიღებული თანხით.
- გ 1-ლი საფეხური ახლა ისესხეთ შესაბამისი თანხა დოლარში;
მე-2 საფეხური დააკონვერტირეთ დოლარის თანხა ევროში;
მე-3 საფეხური დადეთ ევრო დეპოზიტზე;
მე-4 საფეხური სესხი დაფარეთ კლიენტისგან მიღებული თანხით.
- დ 1-ლი საფეხური ახლა ისესხეთ შესაბამისი თანხა ევროში;
მე-2 საფეხური დადეთ ევრო დეპოზიტზე;
მე-3 საფეხური სამ თვეში დააკონვერტირეთ ევრო დოლარში;
მე-4 საფეხური სესხი დაფარეთ კლიენტისგან მიღებული თანხით.

შემდეგი სცენარი ეხება 26-ე – 30-ე კითხვებს.

კომპანია „რიდაგი“ საქმიანობას ეწევა დარგში, რომელშიც მთავრობამ ახლახან შეწყვიტა მარეგულირებელი მოთხოვნები, ვინაიდან სურს ამ დარგში კონკურენციის გაზრდა.

კომპანია „რიდაგი“ გეგმავს არსებული მანქანა-დანადგარის შეცვლას და ორი მანქანა-დანადგარიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. პირველი მანქანა-დანადგარის საწყისი ღირებულებაა \$200,000 და ოთხი წლის შემდეგ \$25,000 ნარჩენი ღირებულება ექნება. მეორე მანქანა-დანადგარის საწყისი ღირებულებაა \$225,000 და სამი წლის შემდეგ \$50,000 ნარჩენი ღირებულება ექნება. ქვემოთ მოცემულია მანქანა-დანადგარების წლიური საექსპლუატაციო დანახარჯები:

წელი	1	2	3	4
პირველი მანქანა-დანადგარი (\$/წელაწადში)	25,000	29,000	32,000	35,000
მეორე მანქანა-დანადგარი (\$/წელაწადში)	15,000	20,000	25,000	

საჭიროების შემთხვევაში, პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია მომავალში მოსალოდნელი ინფლაციით დაკორექტირებულია. უგულებელყავით მანქანა-დანადგარებთან დაკავშირებული გადასახადი და საგადასახადო შეღავათი.

კომპანია „რიდაგის“ კაპიტალის ნომინალური საშუალო შეწონილი ღირებულებაა გადასახადების გადანადგომი 12%, ხოლო კაპიტალის ნომინალური საშუალო შეწონილი ღირებულებაა გადასახადების გადანადგომი 7%.

26. კომპანია „რიდაგისთან“ დაკავშირებით, ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან კონკურენციაზე და მარეგულირებელი მოთხოვნების შეწყვეტის შესახებ, რომელია სწორი?

1. გაზრდილი კონკურენცია კომპანია „რიდაგს“ წაახალისებს, რომ შეამციროს ხარჯები.
2. „კომპანია რიდაგისთვის“ მარეგულირებელი მოთხოვნების შეწყვეტა ადმინისტრაციული და შესაბამისობის დანახარჯების გაზრდას გამოიწვევს.
3. „კომპანია რიდაგისთვის“ მარეგულირებელი მოთხოვნების შეწყვეტა გაზრდის მასშტაბზე ეკონომიას.
4. მარეგულირებელი მოთხოვნების შეწყვეტა გამოიწვევს კომპანია „რიდაგის“ პროდუქციის ხარისხის დაცემას.

- ა 1 და 4
 ბ 2 და 3
 გ 1 და 3
 დ 2 და 4

27. რამდენია პირველი მანქანის წლიური ეკვივალენტური დანახარჯი?

- ა \$90,412
 ბ \$68,646
 გ \$83,388
 დ \$70,609

28. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან კომპანია „რიდაგის“ შესახებ, რომელიც იყენებს წლიურ ეკვივალენტურ დანახარჯების მეთოდს, რომელია სწორი?

1. კომპანია „რიდაგი“ ვერ გამოიყენებს წლიურ ეკვივალენტურ დანახარჯების მეთოდს პირველი და მეორე მანქანა-დანადგარების შეღარებისათვის, ვინაიდან მათ გააჩნიათ განსხვავებული გამოყენების ვადა.
2. კომპანია „რიდაგმა“ უნდა აირჩიოს ის მანქანა-დანადგარი, რომელსაც დანახარჯების საერთო მიმდინარე ღირებულება ნაკლები აქვს.

- ა მხოლოდ 1
 ბ 1 და 2
 გ მხოლოდ 2
 დ არც 1 და არც 2

29. ეჭვი შეეპარათ მეორე მანქანის მე-2 და მე-3 წლების საექსპლუატაციო დანახარჯების შეფასებაში. შემდგომი შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები შემდეგი სახის იქნება:

წელი	ფულადი ნაკადი (\$)	ალბათობა
2	18,000	0.3
2	25,000	0.7
3	23,000	0.2
3	24,000	0.35
3	30,000	0.45

რამდენია მე-3 წლის საექსპლუატაციო დანახარჯების მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულება?

- ა \$26,500
 ბ \$18,868
 გ \$21,624

დ \$35,173

30. კომპანია „რიდაგი“ აფასებს სხვა პროექტს, რომელსაც დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება აქვს. იგი შეშფოთებულია ამ პროექტთან დაკავშირებული რისკისა და განუსაზღვრელობის გამო.

ქვემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებებიდან რისკის, განუსაზღვრელობისა და პროექტის შესახებ, რომელია სწორი?

ა მგრძნობელობის ანალიზი პროექტის ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის ითვალისწინებს.

ბ პროექტთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესაფასებლად შესაძლებელია ალბათობის ანალიზის გამოყენება.

გ შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განმავლობაში განუსაზღვრელობა იზრდება, ხოლო რისკი უკუგების ცვალებადობის გამო იზრდება.

დ დაგვიანებული ფულადი ნაკადების გადაწყვეტილებაზე გავლენის შემცირების მიზნით, შესაძლებელია 5%-ის ოდენობის დისკონტირებული განაკვეთის გამოყენება.

ნაწილი ბ – სავარჯიშო კითხვები

31. „პი-ვი“ აპირებს შეაფასოს საინვესტიციო შეთავაზება პროდუქტ W33 წარმოებისათვის. პროექტმა კომპანიის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ცოტა ხნის წინ ჩატარებული მარკეტინგული კვლევა წარმატებით გაიარა. საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებით, შემდეგი ინფორმაცია არსებობს:

საწყისი ინვესტიცია	\$2 მილიონი
სარეალიზაციო ფასი (მიმდინარე ფასებით)	\$20 ერთეულზე
სარეალიზაციო ფასის მოსალოდნელი ინფლაცია	3 პროცენტი წლიურად
ცვლადი საოპერაციო დანახარჯები (მიმდინარე ფასებით)	\$8 ერთეულზე
მუდმივი საოპერაციო დანახარჯები (მიმდინარე ფასებით)	\$170,000 წლიურად
საოპერაციო დანახარჯის მოსალოდნელი ინფლაცია	4 პროცენტი წლიურად
ჩატარებული კვლევის შედეგად, კომპანიის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტმა მოამზადა მოთხოვნის შემდეგი სავარაუდო პროგნოზი. სავარაუდო პროგნოზი ასახავს მოსალოდნელ ტექნოლოგიურ ცვლილებებს და მის ეფექტს პროდუქტ W33 მოსალოდნელ სასიცოცხლო ციკლზე.	

წელი	1	2	3	4
მოთხოვნა (ერთეულზე)	60,000	70,000	120,000	45,000

მოსალოდნელია, რომ წარმოებული პროდუქტი W33 მთლიანად გაიყიდება, რაც შეესაბამება კომპანიის პოლიტიკას, მარაგში არ ჰქონდეს მზა პროდუქცია. 4 წლის შემდეგ, როდესაც პროდუქტ W33 წარმოების დასრულებაა დაგეგმილი, საწყისი ინვესტიციით შეძენილ დანადგარებს, რომლებიც მხოლოდ W33-ს საწარმოებლად გამოიყენება, სალიკვიდაციო ღირებულება არ ექნება. საინვესტიციო პროექტის შეფასებისათვის „პი-ვი“ იყენებს ნომინალურ წლიურ დისკონტირების 10%-იან განაკვეთს და გეგმავს გამოყენებულ კაპიტალზე წლიურ 30%-ს უკუგებას. გადასახადები მხედველობაში არ მიიღება.

მოგეთხოვებათ:

(ა) ჩამოთვალეთ და ახსნათ კაპიტალის დაბანდებისას გადაწყვეტილების მიღების პროცესის ძირითადი ეტაპები და ინვესტიციების შეფასების როლი ამ პროცესში;

(7 ქულა)

- (ბ) გამოთვალეთ საინვესტიციო პროექტის შემდეგი მაჩვენებლები:
- (i) წმინდა მიმდინარე ღირებულება;
 - (ii) ინვესტიციის უკუგების შიდა განაკვეთი;
 - (iii) უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე (სააღრიცხვო უკუგების განაკვეთი), ინვესტიციების საშუალო სიდიდეზე დაყრდნობით;
 - (iv) დისკონტირებული მოგების პერიოდი.

(13 ქულა)
(სულ: 20 ქულა)

32. კომპანია „დინის“ რამდენიმე წლის განმავლობაში დივიდენდის გადახდის კოეფიციენტი (დივიდენდები/წმინდა მოგება) უცვლელია და შეადგენს 40%-ს. კომპანიის მიმდინარე დივიდენდი აქციაზე არის თითოეულზე 50 ცენტი და მოსალოდნელია, რომ ერთი წლის შემდეგ დივიდენდი აქციაზე თითოეულზე იქნება 52 ცენტი. ქვემოთ მოცემულია კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა:

	შმლნ	შმლნ
კაპიტალი		
ჩვეულებრივი აქციები (აქციის ნომინალური ღირებულებაა \$1)	25	
რეზერვები	35	
		60
სესხები		
ობლიგაცია A (\$100 ნომინალური ღირებულება)	20	
ობლიგაცია B (\$100 ნომინალური ღირებულება)	10	
		30
		90

ობლიგაცია A-ს გამოსყიდვა მოხდება ათი წლის შემდეგ, მისი საპროცენტო განაკვეთია წლიური 9%. ობლიგაციის სესხის ღირებულებაა წლიური 9.83%. ობლიგაციის მიმდინარე საბაზრო ფასია პროცენტის გარეშე \$95.08.

ობლიგაცია B-ს გამოსყიდვა მოხდება ოთხი წლის შემდეგ, მისი საპროცენტო განაკვეთია წლიური 8%. ობლიგაციის სესხის ღირებულებაა წლიური 7.82%. ობლიგაციის მიმდინარე საბაზრო ფასი, პროცენტის გარეშე \$102.01.

კომპანია „დინის“ საკუთარი კაპიტალის ღირებულებაა 12.4%. უგულებელყავით გადასახადები.

მოგეთხოვებათ:

- (ა) გამოთვალეთ კომპანია „დინის“ შემდეგი ღირებულებები:
- (1) აქციის ფასი დივიდენდის გარეშე, დივიდენდების ზრდის მოდელის გამოყენებით;
(3 ქულა)
 - (2) კაპიტალის ლევერიჯი (სესხი/(სესხი + საკუთარი კაპიტალი)) საბაზრო ღირებულებების გამოყენებით; და
(2 ქულა)
 - (3) კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საბაზრო ღირებულება.
(2 ქულა)
- (ბ) იმსჯელოთ იმაზე, მოახდენს თუ არა გავლენას ცვლილება დივიდენდების პოლიტიკაზე კომპანია „დინის“ აქციის ფასზე.
(8 ქულა)
- (გ) ახსნათ, რატომ აქვთ კომპანია „დინის“ კაპიტალის ინსტრუმენტებს განსხვავებული რისკისა და უკუგების დონე.
(5 ქულა)

(სულ: 20 ქულა)